



ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები NODIA, URUMASHVILI & PARTNERS

სარჩევი:

- Covid-19-თან დაკავშირებული ეკონომიკური შეზღუდვები 02
- საინვესტიციო ფონდების შესახებ კანონი 02
- რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონპროექტი 04
- ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ კანონი 04
- ცვლილებები ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ კანონში 05
- საგანგებო მდგომარეობის შედეგად სახელმწიფო ქონების შეძენასთან/ მართვასთან/ სარგებლობასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების გადასინჯვის პროცედურა 05
- მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის ცვლილებები 06
- საქართველოს შრომის კოდექსში ცვლილების კანონპროექტი 06

1. Covid-19-თან დაკავშირებული ეკონომიკური შეზღუდვები

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის დადგენილება №322-ით, 2020 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით, განსაზღვრულია შემდეგი ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვები:

- აკრძალულია სპორტული, კულტურული და გასართობი ღონისძიებების ორგანიზება/ჩატარება, გარდა ჯანდაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად განხორციელებული სამუზეუმო და დახურულ სივრცეში სარეპეტიციო საქმიანობისა, ღია სივრცეში ჩასატარებელი სპორტული, კულტურული ღონისძიებებისა და გასართობი პარკების/ატრაქციონების ფუნქციონირებისა.
- აზარტული და მომგებიანი თამაშობების მომსახურების მიწოდება დასაშვებია ელექტრონული ფორმით. აღნიშნული შეზღუდვა არ ეხება წამახალისებელ გათამაშებას, გარდა აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის წამახალისებელი გათამაშებისა.
- სასტუმროებისა და განთავსების მსგავსი საშუალებების საქმიანობა დასაშვებია მხოლოდ: ა) საკარანტინე სივრცეების მოწყობის მიზნით; ბ) იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ორგანოს მიერ შემოწმებულ იქნა სასტუმრო და გაცემულ იქნა დადებითი დასკვნა;
- სპორტულ-გამაჯასანსაღებელი პროცედურის /აქტივობის განმახორციელებელი სუბიექტების საქმიანობა დასაშვებია შესაბამისი ორგანოს მიერ შემოწმების და დადებითი დასკვნის გაცემის საფუძველზე;
- ყველა ეკონომიკური საქმიანობა უნდა განხორციელდეს ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, არანაკლებ 2 მეტრის სოციალური დისტანციის დაცვითა და პირბადით, ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით დადგენილი რეკომენდაციების შესაბამისად.

*ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა შესაძლებელია შეაჩეროს სუბიექტის საქმიანობა, თუ აღმოჩნდება კრიტიკული შეუსაბამობა ჯანდაცვის მინისტრის მიერ დადგენილ რეკომენდაციებთან.

2. ახალი კანონი საინვესტიციო ფონდების შესახებ

საქართველოს პარლამენტმა 2020 წლის 14 ივლისს მიიღო ახალი კანონი საინვესტიციო ფონდების შესახებ. კანონის მიზანია საინვესტიციო ფონდებისა და აქტივების მმართველი კომპანიების საქართველოში დაფუძნებასთან და მართვასთან, აგრეთვე მათ მიერ ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგება, ფინანსური სექტორის გაღრმავება და ეფექტიანობის ზრდა, კორპორატიული სექტორის დაფინანსების ალტერნატიული წყაროების გაჩენა, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება და კაპიტალის ბაზრების განვითარების ხელშეწყობა. ამ მიზნების შესასრულებლად, პირველ ყოვლისა, გათვალისწინებულია არსებული კანონმდებლობის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 13 ივლისის 2009/65/EC დირექტივასთან (UCITS) შესაბამისობაში მოყვანა და ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციის (IOSCO) მიერ დადგენილ პრინციპებთან დაახლოება. აქვე, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ) IOSCO-ს ასოცირებული წევრი 2018 წელს გახდა, სამომავლოდ კი იგეგმება მუდმივი წევრის სტატუსის მოპოვება, რომელიც სებ-ს საშუალებას მისცემს შეუერთდეს IOSCO-ს წევრებს შორის გაფორმებულ ურთიერთგაგების მემორანდუმს ინფორმაციის გაცვლისა და ურთიერთდახმარების შესახებ.

კანონით დადგენილი მოიცავს შემდეგ სუბიექტებს: 1) საქართველოში დაფუძნებულ საინვესტიციო ფონდებს; 2) საქართველოში დაფუძნებულ საინვესტიციო ფონდის აქტივების მმართველ კომპანიას (ამ უკანასკნელის დაფუძნების ადგილის მიუხედავად); 3) საქართველოში დაფუძნებული აქტივების მმართველ კომპანიას, იმის მიუხედავად, არის თუ არა საქართველოში დაფუძნებული მისი მართვის ქვეშე მყოფი საინვესტიციო ფონდი; 4) უცხოურ საინვესტიციო ფონდს, რომელიც ახორციელებს ერთეულების შეთავაზებას საქართველოში, აგრეთვე, მისი აქტივების მმართველი კომპანია; 5) სხვა პირებს (სპეციალიზირებული დეპოზიტარები,

აუდიტორები და სხვ.), რომლებიც ახორციელებენ კანონით გათვალისწინებული საინვესტიციო ფონდების აქტივების ინვესტირებასთან, მართვასთან, შენახვა-ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ საქმიანობას.

კანონში მითითებული განმარტების მიხედვით პირი შეიძლება დაკვალიფიცირდეს საინვესტიციო ფონდად, თუ მას:

- არ გააჩნია ჩვეულებრივი სავაჭრო ან სამრეწველო საქმიანობის განხორციელება;
- აერთიანებს ინვესტორთა კაპიტალს მოგების გენერირების მიზნით;
- სქემაში გაერთიანებული პირები კოლექტიურად არ სარგებლობენ ყოველდღიური დისკრეციით ან კონტროლის განხორციელების უფლებით.

კანონი არ გამორიცხავს სხვა სახის წარმონაქმნის ან სქემის საინვესტიციო ფონდად დაკვალიფიცირებას, თუკი იგი დააკმაყოფილებს კანონით განსაზღვრულ ან სავაჭრო ჩვეულებების თანახმად დამკვიდრებულ საინვესტიციო ფონდის დეფინიციას.

კანონი არ ვრცელდება საჯარო დაწესებულებებზე, რომლებიც მართავენ სოციალური უზრუნველყოფის ან საპენსიო სისტემების ფონდებს, პოლდინგურ კომპანიებზე, „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საპენსიო სქემებზე, საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებზე და სხვა წარმონაქმნებზე, რომელთა საქმიანობა თავისი შინაარსით არ წარმოადგენს კანონპროექტით დარეგულირებულ საქმიანობას ან რომლებიც ექვემდებარება სპეციალურ საკანონმდებლო მოწესრიგებას.

თუ პირს აქვს საქართველოში რეგისტრაციის ან მართვის ადგილი, სავალდებულოა განხორციელდეს საინვესტიციო ფონდის ავტორიზაცია ან რეგისტრაცია, იმის მიუხედავად, არიან თუ არა საინვესტიციო ფონდის ინვესტორები საქართველოს რეზიდენტები ან შედგება თუ არა ფონდის პორტფელი საქართველოში არსებული აქტივებისაგან. აღნიშნულისგან განსხვავებით, უცხოურ საინვესტიციო ფონდზე საქართველოს

კანონმდებლობის მოთხოვნები შესაძლებელია გავრცელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მისი ერთეულების შეთავაზება წარმოებს საქართველოში. საჯარო შეთავაზება გულისმობს საინვესტიციო ფონდის ერთეულების 20-ზე მეტი გაუთვითცნობიერებელი (საცალო) ინვესტორისთვის ან წინასწარ განუსაზღვრელი რაოდენობის პირებისთვის შეთავაზებას, ხოლო კერძო შეთავაზებას წარმოადგენს ყველა ისეთი შეთავაზება, რომელიც არ არის საჯარო შეთავაზება. უცხოური საინვესტიციო ფონდი, რომელიც ახორციელებს საკუთარი ერთეულების საჯარო შეთავაზებას საქართველოში, ვალდებულია მიმართოს საზედამხედველო ორგანოს და მოიპოვოს აღიარება, ხოლო კერძო შეთავაზების განხორციელების შემთხვევაში წინასწარ შეატყობინოს აღნიშნულის თაობაზე საზედამხედველო ორგანოს.

საქართველოში დაფუძნებულ ფონდებს სამიზნე ინვესტორთა წრის მიხედვით კანონი ჰყოფს ორ ძირითად კატეგორიად: ავტორიზებულ საინვესტიციო ფონდებად (რომლებსაც უფლება აქვთ განახორციელონ საჯარო შეთავაზება, საზედამხედველო ორგანოს მიერ მინიჭებული ავტორიზაციის საფუძველზე) და რეგისტრირებულ საინვესტიციო ფონდებად (რომლებსაც უფლება აქვთ განახორციელონ მხოლოდ კერძო შეთავაზება, საზედამხედველო ორგანოში რეგისტრაციის საფუძველზე).

კანონი, ზემოთ ჩამოთვლილისა, ასევე აწესრიგებს ფონდის საქმიანობის ტიპებს, სამართლებრივ ფორმებს, აქტივების მმართველი კომპანიის და სპეციალიზებული დეპოზიტარის ძირითად მარეგულირებელ პრინციპებს, საინვესტიციო ფონდების ერთეულების შეთავაზებას და ფონდების გამჭვირვალობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, ფონდების რეორგანიზაციას, შერწყმას და ლიკვიდაციას, ფონდების რეგულირებასა და ზედამხედველობას.

იხ. ბმული:

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4924135?publication=0>

3. *ჩეაბიდიგაციისა და კხედიგოთა კოდექციუხი დაკმაყოფილების შესახებ კანონის პხოექტი*

კანონპროექტი "რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" გადახდისუნარობის საქმისწარმოების პროცესის სრულიად ახალ, მოდერნიზებულ პროცედურებს შეიცავს.

კანონპროექტით შემოთავაზებულ ცვლილებებში აღსანიშნავია საგადასახადო მოთხოვნების რიგითობისა და სტატუსის ცვლილება, რომლის მიხედვითაც შემოსავლების სამსახური გადახდისუნარობის პროცესში აღარ წარმოადგენს უზრუნველყოფილ კრედიტორს.

კანონპროექტი ითვალისწინებს პრეფერენციულ მოთხოვნებს, კერძოდ გადახდისუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე: ა) გადასახდელი 3 თვის სახელფასო და შვებულების ხარჯები, ასევე საწარმოო ტრავმის გამო გადასახდელი თანხები თითოეულ კრედიტორზე არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით; და ბ) ბოლო 3 წლის შესაბამის საგადასახადო პერიოდზე წარმოშობილი, საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული არაპირდაპირი გადასახადების თანხა. უზრუნველყოფილი კრედიტორს რჩება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული უპირატესი უფლება უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის შედეგად პირველ რიგში დაიკმაყოფილოს მოთხოვნა. გადახდისუნარობის პროცესი არ ახდენს ზეგავლენას ამ უფლებაზე.

კანონპროექტით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი სიახლეა „რეგულირებული შეთანხმება“, რომელიც ითვალისწინებს გადახდისუნარობის წინაშე მყოფ მოვალესა და კრედიტორებს შორის შეთანხმებას იმის თაობაზე, რომ თითოეული კრედიტორი მიიღებს მინიმუმ იმდენს, რასაც ის მოვალის გაკოტრებისას მიიღებდა. ამ პროცესის მიზანია მოვალის, როგორც მოქმედი საწარმოს, შენარჩუნება. რეგულირებული შეთანხმების დადების მიზნით წარმართულ მოლაპარაკებებზე ვრცელდება მორატორიუმი. ამ პერიოდში მოვალის მიმართ ინდივიდუალური აღსრულების პროცესი შეჩერებულია.

შემცირდა და კანონით ზუსტად განისაზღვრა რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცების ვადა. კრედიტორებმა რეაბილიტაციის გეგმა უნდა მოიწონონ რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნის შესახებ განჩინების მიღებიდან 6 თვის ვადაში.

ამ ვადის გაგრძელება დაიშვება მხოლოდ ერთხელ და მაქსიმუმ 3 თვით. თუ ამ ვადაში არ იქნება რეაბილიტაციის გეგმა მოწონებული, სასამართლო მიიღებს განჩინებას მოვალის მიმართ გაკოტრების რეჟიმის დაწყების შესახებ.

კანონპროექტით მხოლოდ გადახდისუნარობის პრაქტიკოსს შეეძლება რეაბილიტაციის/ გაკოტრების მმართველის, რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველის საქმიანობის განხორციელება. გადახდისუნარობის პრაქტიკოსის ავტორიზაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აღსრულების ეროვნული ბიურო. გადახდისუნარობის პრაქტიკოსის ავტორიზაციის განხორციელების წესსა და პირობებს, ასევე, გადახდისუნარობის პრაქტიკოსთა ერთიანი რეესტრის წარმოების წესს ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი. ამ კანონის ამოქმედებამდე ბოლო 5 წლის განმავლობაში გადახდისუნარობის საქმის წარმოების პროცესში მონაწილე პირები, რომლებსაც შესრულებული აქვთ „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მმართველის ფუნქციები, ამ კანონის ამოქმედებიდან 1 წლის განმავლობაში გადახდისუნარობის პრაქტიკოსებად ჩაითვლებიან და უფლება აქვთ განახორციელონ შესაბამისი საქმიანობა.

კანონპროექტის სამუშაო ჯგუფში, როგორც ექსპერტი, მონაწილეობს შპს „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორების“ მმართველი პარტნიორი ლაშა ნოდია.

იხ. ბმული:

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4792392?publication=0>

4. ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ კანონი

საქართველოს პარლამენტმა 2020 წლის 13 ივლისს მიიღო კანონი ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს მისი შემოღებისა და გამოყენების, ასევე სპეციალური კვლევის (შესწავლის)

განხორციელების ძირითად წესს, შესწავლის განხორციელებაზე უფლებამოსილ და წინასწარი/სპეციალური ანტიდემპინგური ღონისძიების/ტარიფის შემოღებაზე გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს.

კანონის თანახმად დემპინგური იმპორტისას სპეციალური ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღება „კონკურენციის სააგენტოს“ მიერ წინასწარი შესწავლის შემდეგ უნდა განხორციელდეს. შესწავლის ობიექტის მიმართ ანტიდემპინგური ღონისძიება საქართველოს მთავრობის მიერ შეიძლება დადგინდეს იმ შემთხვევაში, თუ შესწავლის ორგანომ დაადგინა, რომ ხორციელდება შესწავლის ობიექტის დემპინგური იმპორტი, ზიანი მიადგა ადგილობრივ ბაზარს ან არსებობს მისთვის ზიანის მიყენების საფრთხე. ამასთანავე, უნდა დასაბუთდეს მიყენებულ ზიანსა და დემპინგურ იმპორტს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.

ანტიდემპინგური ღონისძიების გატარებიდან გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი შემთხვევები, როგორებიცაა საქართველოს ეკონომიკის გარკვეული დარგებისათვის ან მომხმარებელთა ინტერესებისათვის ზიანის მიყენების საფრთხე და სახელმწიფო საჭიროება. კანონი, ასევე, ითვალისწინებს წინასწარი/სპეციალური ანტიდემპინგური ღონისძიების/ტარიფის შემოღების, არგამოყენების, გადახედვის ან/და გაუქმების შესახებ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს - კერძოდ, ადგენს სპეციალურ სასამართლო განსჯადობას. გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოში.

სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფის შემოღება ხდება არაუმეტეს 5 წლით, აღნიშნული ვადა შეიძლება გაგარძელდეს არაუმეტეს 5 წლით. აღნიშნული კანონის ამოქმედება იგეგმება 2021 წლის პირველი იანვრიდან.

იხ. ბმული:

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4923585?publication=0-->

5. მნიშვნელოვანი ცვლილებები ედექტონური კომუნიკაციის შესახებ საქართველოს კანონში

2020 წლის 17 ივლისს, ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია“) გადაწყვეტილების აღსრულების სპეციალურ ღონისძიებებს; კერძოდ, კომისია ავტორიზებული პირის/ლიცენზიის მფლობელის მიერ ზემოაღნიშნული კანონის დარღვევის შემთხვევაში, და განსაზღვრული წინაპირობების დაკმაყოფილებისას, უფლებამოსილი ხდება, მისი გადაწყვეტილების აღსრულებამდე დანიშნოს სპეციალური მმართველი, რომელიც უზრუნველყოფს ავტორიზებული პირის/ლიცენზიის მფლობელის მიერ კომისიის გადაწყვეტილების აღსრულებას.

იხ. ბმული:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4928604?publication=0>

6. საგანგებო მდგომარეობის შედეგად სახელმწიფო ქონების შექმნასთან/მაჩთვისთან/სახეგებლობასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების გადასინჯვის პროცედურა

სახელმწიფო ქონების შესახებ კანონში განხორციელებული ცვლილების თანახმად განისაზღვრა პროცედურა საგანგებო მდგომარეობის შედეგად სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების გართულების ან შეუძლებლობის გამო სახელმწიფო ქონების შექმნა/მართვის/სარგებლობის უფლებით მიმღებ პირთა ვალდებულებების შეცვლის/გაუქმების/პირგასამტეხლოს პატიების საკითხის შესახებ. საკითხს ქონების მმართველისათვის სათანადო მიმართვის საფუძველზე და ქონების მმართველის წარდგინებით განიხილავს საქართველოს მთავრობა. ამასთან საგულისხმოა, რომ აღნიშნული პროცედურა, ასევე, ვრცელდება 2012 წლის 31 დეკემბრის შემდეგ აუქციონის გზით განკარგული/სარგებლობაში გადაცემული ქონების შემთხვევებზეც. დაინტერესებული პირის მიერ ქონების მმართველისათვის ზემოაღნიშნული მიმართვის წარდგენისთვის ზღვრულ ვადად განისაზღვრა საგანგებო მდგომარეობის დასრულებიდან 6 თვე (თუ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი). ცვლილება შეიცავს

გარდამავალ დებულებას, რომელიც ვადის სპეციალურ მონესრიგებას შეიცავს „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 და ამავე წლის 21 აპრილს N2 ბრძანებების საფუძველზე. ამ დებულების მიხედვით მხარეს აქვს მიმართვის კანონის გამოქვეყნებიდან ექვსთვიანი ვადას. კანონი საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა 20/07/2020-ში.

იხ. ბმული:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4922078?publication=0>

7. მეწახმეთა შესახებ საქართველოს კანონში ფუნდამენტური ცვლილებების შემცველი კანონპროექტი

2020 წლის 13 აგვისტოს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე გამოქვეყნდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი. თუმცა, ამ ეტაპზე კანონპროექტის პირველი მოსმენა ჯერ არ გამართულა.

კანონპროექტი, არსებული კანონისაგან განსხვავებით, დეტალურად არეგულირებს ინტერესთა კონფლიქტთან, სამეწარმეო საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვასთან/გასვლასთან, საზოგადოების დაშლის, რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. დამატებით იზრდება მინორიტარ პარტნიორთა და მესამე პირთა/კრედიტორთა უფლებების დაცვის ხარისხი და იზრდება კორპორაციული გამჭვირვალობა (როგორც საზოგადოების დაფუძნებისას, ისე მის შემდგომ).

კანონპროექტი ერთმანეთისგან მიჯნავს კაპიტალის ტიპებს. შემოდის „განთავსებული კაპიტალი“-ს ცნება, რომელიც ეწოდება თანხობრივ ოდენობას, რაზეც თანხმდებიან დამფუძნებელი პარტნიორები და მიუთითებენ სადამფუძნებლო შეთანხმებაში. თუმცა, სააქციო საზოგადოების გარდა განთავსებული კაპიტალის არსებობა არ არის სავალდებულო სხვა ფორმის სამეწარმეო საზოგადოებებისთვის. კანონპროექტით განისაზღვრა, რომ სააქციო საზოგადოების განთავსებული კაპიტალი რეგისტრაციის მომენტისთვის მინიმუმ 100,000 ლარს უნდა შეადგენდეს.

კანონის ამოქმედება იგეგმება 2021 წლის 1 იანვრიდან. თუმცა, ახალი კანონის ამოქმედებამდე შექმნილ სამეწარმეო საზოგადოებებს განესაზღვრებათ კანონის ამოქმედებიდან 2 წლიანი ვადა საკუთარი სარეგისტრაციო მონაცემების (წესდების და სხვა დოკუმენტების) კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

„ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორების“ პარტნიორი ვახტანგ გამცემლიძე და უფროსი იურისტი გიორგი კეკელიძე საქართველოს ბიზნეს ასოციასთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართული კანონზე მუშაობის პროცესში.

8. საქართველოს შრომის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტი

2020 წლის 27 აპრილს საქართველოს პარლამენტში წარადგინეს კანონპროექტი „საქართველოს შრომის კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“. კანონის პროექტის მთავარი მიზანია ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება საერთაშორისო ორგანიზაციების რეგულაციებთან. კანონის პროექტი მიღებულია პირველი მოსმენით.

მეორე მოსმენით მიღებული პროექტის თანახმად:

- ფართოვდება დისკრიმინაციის ცნება და მისი აკრძალვის ფარგლები. კანონპროექტი პირდაპირ აზუსტებს სასამართლო პრაქტიკით დამკვიდრებულ მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხს;
- დამატებით რეგულირებას ექვემდებარება შრომის ხელშეკრულების ფორმა და შინაარსი. ხელშეკრულება სავალდებულოდ უნდა შეიცავდეს ხელშეკრულების შეწყვეტის წესებს და გაფორმდეს წერილობით, თუ აღნიშნული დადებულია ერთ თვეზე მეტი ვადით.
- შრომის კოდექსი განსაზღვრავს ახალ ცნებებს: არასრული სამუშაო განაკვეთი, ნორმირებული სამუშაო დრო, სტაჟირება. მნიშვნელოვანია, რომ დასაქმებულს ეკრძალება სტაჟირის მიღება შრომითი ხელშეკრულების

გაფორმებისგან თავის არიდების ან სხვა დასაქმებულის ჩანაცვლების მიზნით.

- ცვლილებით განისაზღვრება ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების მინიმალური ოდენობა. ცვლილების შეტანის შემდგომ ზეგანაკვეთური სამუშაო დასაქმებულს უნდა აუნაზღაურდეს არანაკლებ ნორმირებული საათობრივი განაკვეთის 125 პროცენტით. ასევე იზღუდება ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ნაცვლად დამატებითი დასვენების დროის მიცემის პერიოდი.
- კანონის პროექტი ითვალისწინებს სოციალურ გარანტიებს. ორსულთათვის დამატებით გამოიყოფა ანაზღაურებადი დრო სამედიცინო გამოკვლევების ჩასატარებლად, ხოლო ღამის სამუშაოზე დასაქმებულ პირებს უფლება ექნებათ დამსაქმებლის ხარჯით მოითხოვონ სამედიცინო შემოწმების ჩატარება.
- ცვლილებები შეეხება ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხს. დასაქმებული ვალდებული იქნება შეწყვეტის შესახებ შეტყობინებაშივე განმარტოს დასაქმებულის გათავისუფლების მიზეზი. დასაქმებულს პირდაპირ ეძლევა უფლება, რომ განმეორებით მიმართოს სასამართლოს.
- სახელმწიფო ზედამხედველობას საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესრულებაზე უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შრომის ინსპექცია.


საკონტაქტო ინფორმაცია

*საქაჩოვედო, ქ. თბილისი,
ვაჟა ფშავედას გამზიხი, 71, ბღოკი IV,
სახიუდი IV, ოფისი 28*

ტელ: (+995) 322 207407 (ext. 101)

მობილური: (+995) 555 018585

ელ-ფოსტა: info@nplaw.ge



**NODIA,
URUMASHVILI
& PARTNERS**